

„ქსოვიდი საქართველოდან“ – უნიკალური ენციკლოპედიური აღბომის პრეზენტაცია



საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ორენოვანი ენციკლოპედიური აღბომის – „ქსოვიდი საქართველოდან“ პრეზენტაცია გაიმართა. ოთხასგვერდიანი ნაშრომი ქართული ისტორიული ქსოვიდის შესახებ VII- XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით ყველა მნიშვნელოვან ცნობას აერთიანებს და ქართველი გვირგვინოსნებისა და თავადების შესამოსელის მიხედვით აღდგენილ ქსოვიდზე მოგვითხრობს.

პირველად ისტორიაში, საზოგადოებას საშუალება მიეცემა გაეცნოს და დაათვალიეროს ის ქსოვიდი, რომლითაც დიდი ქართველი მეფეები და დიდგვაროვნები იმოსებოდნენ, მათ შორის: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი III, დადიანთა, ჯაყელთა, ერისთავთა, სურამელთა და გურიელთა სახელოვანი შთამომავლები. აღბომი მიზნად ისახავს ქართული ისტორიული ქსოვიდის, როგორც კურტურული მემკვიდრეობის უნიკალური მიმართულების განვითარების ასახვას. მასში შესურია 200-ზე მეტი ფრესკა და 300-მდე ტექსტილის სახეობა, მათ შორის აღსანიშნავია VIII-XI საუკუნეების ბიზანტიური ქსოვიდები

სვანეთიდან .

წიგნში შესურია საქართველოს ხელოვნების სასახლეში, ეროვნულ მუზეუმში და კერძო კოლექციებში დაცული ნიმუშები. სამეცნიერო ნაშრომზე შემოქმედებითი ჯგუფი გიორგი კადანდიასა და ირინე საგანედიძის ხელმძღვანელობით ოთხ თვის მანძილზე მუშაობდა. დიზაინი და გრაფიკური კონცეფცია ირაკლი ზამბახიძეს, ხოლო სამეცნიერო რედაქტურა გურიკო კვანტიძეს ეკუთვნის. პროექტის მხარდამჭერი ნაციონალური სამოსის სახლია, კატალოგის გამოცემა და მეცნიერული კვლევა კურტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პატრონაჟით განხორციელდა.

